**«СЛАВИЯ»** (София)

Старший тренер **Д. ТАШКОВ**

Капитан команды **А. ШАЛАМАНОВ**

1 Цолов

3 Шаламанов — 4 Крыстев

2 Чакыров — 5 Понев

6 Тасов — 7 Желязков — 8 Костов

9 Александров — 10 Григоров — 11 Георгиев

11 Кипиани — 10 Г. Нодия — 9 Гуцаев

8 Асатиани — 7 Мачаидзе — 6 Гавашели

5 Хинчагашвили — 2 Эбралидзе

4 Челидзе — 3 Кантеладзе

1 Гогия

**«ДИНАМО» (Тбилиси)**

Старший тренер **А. КОТРИКАДЗЕ**

Капитан команды **К. АСАТИАНИ**

უეფა-ს თასზე

«დინამო»

(თბილისი)

«სლავია»

(სოფია, ბოლგარეთი)

19 სექტემბერი — 19 СЕНТЯБРЯ

დასაწყისი 18 საათზე

Начало 18 часов

Матч судит

В. РИДЕЛЬ (ГДР).

НА КУБОК УЕФА

„ДИНАМО"

(Тбилиси)

„СЛАВИЯ"

(София, Болгария).

**1973**

ფასი 5 კაპ. — Цена 5

Заказ № 3052 — Тираж 3 000 — УЭ 0

КЛИСФ „НАШИ В ЕВРОКУБКАХ"



# ფეხბურთი

# ФУТБОЛ

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი

ТБИЛИССКИЙ СТАДИОН „ЛОКОМОТИВ"

# ჩვენი სტუმრები

● სოფიის „სლავია“ ერთ-ერთი უძველესი კლუბია ბულგარეთში. იგი შექმნილია 1913 წელს, 50-იან წლებში იწოდებოდა „უდარნიკად.“ კლუბის სტადიონი იტევს 32 ათას მაყურებელს.

● „სლავია“ 1928, 1930, 1936, 1939, 1941, 1943 წლებში იყო ბულგარეთის ჩემპიონი, ხოლო თასს ფლობდა 1952, 1963, 1964, 1966 წლებში.

● საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი სტუმრების ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში გასვლა 1967 წელს, როცა მათ 2 მატჩში დაუთმეს შოტლანდიის ცნობილ „გლაზგო რეინჯერსს“ — 0:1 და 0:1.

● „სლავია“ ბულგარული ფეხბურთის ტიპიური წარმომადგენელია, თამაშობს შეუპოვრად, სწრაფად, მაღალ ტემპში. მისი მოთამაშეები გამოირჩევიან საუკეთესო ათლეტური მომზადებით, გამძლეობით, დახვეწილი ტექნიკით.

● წარსულ წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ კლუბის ფეხბურთელები, ბულგარეთის ეროვნული ნაკრების წევრები — ბაიკუშევი, სტაიკოვი, სტოიანოვი, ტამკოვი, ახლანდელი შემადგენლობიდან გამოირჩევიან მეკარე სიმეონოვი, მცველები — შალამანოვი, იონოვი, ნახევარმცველები — ტასევი, ჟელიაზკოვი, თავდამსხმელები — ალექსანდროვი, გრიგოროვი და სხვ.

თბილისის დინამოელები პირველად არ ხვდებიან ბულგარული ფეხბურთის წარმომადგენლებს. 1952 წლის ზაფხულში ბულგარეთის ნაკრები სტუმრად იმყოფებოდა სსრ კავშირში და რამდენიმე საპატიო გამარჯვებას მიაღწია ჩვენს გუნდებთან შეხვედრებში, თბილისის „დინამომ“ კი საუკეთესოდ ითამაშა მასთან და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:1 (ეს მატჩი შედგა მოსკოვში).

1956 წელს თბილისელები ბულგარეთში ჩავიდნენ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. მათ მოუგეს სოფიის „დინამოს“ — 3:2, დიმიტროვის „მინიორს“ — 2:1 და წააგეს პლოვდივის „სპარტაკთან“ — 1:2.

1959 წელს თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ბულგარეთის უძლიერესი კლუბი „ლევსკი“, რომელმაც დამარცხება განიცადა „დინამოსთან“ შეხვედრაში — 0:1.

და აი, დინამოელებს კვლავ უხდებათ შეხვედრა, ამჯერად უეფა-ს თასის ოფიციალურ მატჩში, ბულგარელ ფეხბურთელებთან, კერძოდ, სოფიის „სლავიასთან“. ეს კლუბი ძალზე პოპულარულია თავის ქვეყანაში, მისი ფეხბურთელები სისტემატურად გამოდიან ეროვნულ ნაკრებში, კარგად არიან ცნობილი საერთაშორისო სარბიელზე. მართალია, „სლავიას“ დიდი ხანია არ მოუპოვებია თავისი ქვეყნის ჩემპიონობა, მაგრამ მისი საერთო სტაბილური, მაღალი მაჩვენებლები სხვადასხვა შეჯიბრებაში უდავო დამადასტურებელია იმისა, რომ ეს გუნდი კვლავინდებურად დგას ბულგარეთის ფეხბურთის ავანგარდში.

უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება „სლავიამ“ მიიღო შარშანდელ ჩემპიონატში დაკავებული III ადგილის მეოხებით. გუნდი დაკომპლექტებულია სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებით, მის შემადგენლობაში არიან გამოცდილი, მრავალნაცადი ვეტერანებიც და პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდებიც, ამდენად, „სლავიას“ შესწევს ძალა ღირსეულად იბრძოლოს ბულგარული ფეხბურთის პრესტიჟის დასაცავად.

რამდენიმე სიტყვა უეფა-ს თასის გათამაშების ფორმულაზე. მეტოქეები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს — საკუთარ და მოწინააღმდეგის მინდვრებზე. გამარჯვებულია ის, ვინც ამ ორი მატჩის შედეგად მეტ ქულას აიღებს, ან მეტ ბურთს გაიტანს. ბურთების თანაფარდობისას უპირატესობა ენიჭება მას, ვინც მეტ გოლს გაიტანს სტუმრად, თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი იქნა, მეორე მატჩის დასასრულს ინიშნება დამატებითი 30 წუთი და შემდეგ, თუ ეს საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების სერია.



# КУБОК УЕФА

## 1/32 ФИНАЛА

### Первая группа

«Фредрикстад» (Норвегия) — «Динамо» (Киев, СССР)
«Рух» (Польша) — «Вупперталь» (ФРГ)
БК 1903 (Дания) — АИК (Швеция)
«Карл Цейсс» (ГДР) — «Мяккели» (Финляндия)

### Вторая группа

«Стрёмсгодсет» (Норвегия) — «Лидс» (Англия)
«Фейеноорд» (Голландия) — «Эстерс» (Швеция)
«Стандард» (Бельгия) — «Ардс» (Сев. Ирландия)
«Хиберниан» (Шотландия) — «Кефлавик» (Исландия)

### Третья группа

«Ницца» (Франция) — «Барселона» (Испания)
«Фортуна» (ФРГ) — «Наествед» (Дания)
«Тоттенхэм» (Англия) — «Грассхопперс» (Швейцария)
«Абердин» (Шотландия) — «Фин Харпс» (Ирландия)

### Четвертая группа

«Данди» (Шотландия) — «Твенте» (Голландия)
«Эспаньол» (Испания) — «Рэсинг» (Бельгия)
«Белененсес» (Португалия) — «Вулверхемптон» (Англия)
УС «Люксембург» (Люксембург) — «Марсель» (Франция)

### Пятая группа

«Витория» (Португалия) — «Беерскот» (Бельгия)
«Реал» (Испания) — «Ипсвич» (Англия)
«Лацио» (Италия) — «Сион» (Швейцария)
«Локомотив» (Пловдив, Болгария) — «Шлиема Уондерерс» (Мальта)

### Шестая группа

«Фиорентина» (Италия) — «Университа» (Румыния)
«Гвардия» (Польша) — «Ференцварош» (Венгрия)
«Штуттгарт» (ФРГ) — «Олимпиакос» (Кипр)
«Татран» (ЧССР) — «Вележ» (Югославия)

### Седьмая группа

«Динамо» (Тбилиси, СССР) — «Славия» (София, Болгария)
«Панатинаикос» (Греция) — ОФК (Югославия)
«Интер» (Италия) — «Адмира» или «Линц» (Австрия)
«Арджес» (Румыния) — «Фенербахче» (Турция)

### Восьмая группа

ВСС (Кошице, ЧССР) — «Гонвед» (Венгрия)
«Турин» (Италия) — «Локомотив» (Лейпциг, ГДР)
«Эскишехирспор» (Турция) — «Кёльн» (ФРГ)
«Паначаки» (Греция) — «Грац» (Австрия)

## КУБОК ЧЕМПИОНОВ

«ЗАРЯ» (Ворошиловград) — «АПОЭЛЬ» (Кипр)

## КУБОК КУБКОВ

«ТОРПЕДО» (Москва) — «АТЛЕТИКО» (Бильбао)

КЛУБ «ДИНАМО» В ЕВРОКУБКАХ